# მწყემსი

№ 2.


გაზეთის ფასი: ერთი წლის გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი. ცალკე ნომრის ფასი 20 კაპეიკი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „მწყემსის" რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Шорапанъ. Въ редакцію „Мцкемси" (Пастырь).*

განცხადებანი მიიღებიან გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღებიან აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დართვა გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაკტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი. და თუ ავტორებთა თავის ვინაობის გამოცხადება არა სურსთ, რედაქცია არ გამოაცხადებს მათ.

ავტორთაგან გამოგზავნილნი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმამავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.


შინაარსი: ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსების საქმე.—სოფლის მღვდლის წერილები, 1: რა ავრცელებს მღვდლებსა და მრევლ შორის უთანხმოებას და უკმაყოფილებას.—წერილები რედაქტორთან: რაჭიდგან.—ქუთაისიდგან.—შენიშვნა.—სხვა და სხვა ამბები.—არხეოლოგიური და ისტორიული ცნობები და შენიშვნები.—ჟურნალ გაზეთების მიმოხილვა.—ანგარიში ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შესავალ-გასავლისა 1882 წლისა.


## ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსების საქმე.

ქუთაისში სემინარიის დაარსების საქმე დიდი ხანია დაწყებულია და ამ უკანასკნელ დროში ამ საქმეს სანატრელი ბოლოც მოელის. თუმცა სამღვდელოება ყოველთვის თანამგრძნობი იყო ყოვლად უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის აზრისა, რომელიც დაუცხრომელად ზრუნავდა და ზრუნავს იმერეთის ეპარხიის სამღვდელოების მატერიალური და გონებითი გაუმჯობესობისათვის, მაგრამ სემინარიის გახსნა სამღვდელოების ხარჯით ყოვლად შეუძლებელი იყო. ახალმა სასწავლებლების წესდებამ, რომელიც შედგენილია გრაფ ტოლსტოისაგან, სამღვდელოებას დაადვა თითქმის სარჩენათ სასულიერო სასწავლებლები. იმერეთის სამღვდელოება ამ წესდებით იძულებული შეიქმნა ყოველ წლობით თორმეტი ათასი მანეთი შემოეტანათ ერთი სასწავლებლის შესანახავად. თუმცა მრავალჯერ აღძრა სემინარიის გახსნაზედ სამღვდელოებამ კითხვა და მრავალ გზის მიიქცა თხოვნით უწმიდესი სინოდისადმი, მაგრამ უმექონებლობისაგამო საშუალებისა ვერ ეღირსა თავისი სურვილის აღსრულებას. ამასთან, სამწუხაროდ, გამოჩნდნენ ისეთი პირები, რომელნიც ნაცვლად შემწეობისა და დახმარებისა, ხელს უშლიდნენ ამ საქმეს და აბრკოლებდნენ.

1872 წელში იმერეთის სამღვდელოებამ გადაწყვიტა ყოველ წლობით შეტანა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შესანახავად ცამეტი ათასი მანეთისა (13.000). სამღვდელოებამ ამ ყრილობაზე გადაწყვიტა, რომ ამ ცამეტი ათასი მანეთიდამ რაც გადარჩებოდა სასწავლებლის ხარჯს გადადებულიყო სემინარიის დასაარსებელი ფონდის შესადგენად. ხსენებული წლიდამ 1878 წლამდე ამ გადარჩენილი ფულებისაგან შეგროვდა თოთხმეტი ათას მანეთამდე (14,000). ეს იყო ის ფულები რომელსაც ზოგიერთები უგნურობით და პიროვნული ანგარიშით განსვენებული ასათიანის მომჭირნეობას და მუყიათობას აწერდნენ...

1878 წელს აქეთ სასწავლებელს ხარჯი მოემატა; ამასთან გადაწყვეტილი ცამეტი ათასი მა-

ნეთი სამღვდელოებისაგან, ზოგიერთი ბლაღოჩინების დაუდევნელობით, თავ-თავის დროზედ არ შემოდიოდა. სამღვდელოების დეპუტატები ყოველთვის სასწავლებლის სამმართველოისაგან წარმოდგენილ წლის ხარჯს (смѣта) თითქმის შეუცვლელად ამტკიცებდნენ და რომ არ დაემტკიცებიათ—არც კი შეეძლოთ. ამასთან კიდევ სამღვდელოების დეპუტატებმა მასწავლებლებს და ზედამხედველებს ჯამაგირები მოუმატეს; ყველა ესეები თხოულობდა ფულს. სამღვდელოების დეპუტატები ნაცვლად იმისა, რომ ყოველ ხარჯის მომატებაზედ შემოსავლის წყაროც გამოენახათ, ყოველთვის იმ ცამეტი ათას მანეთზედ უთითებდა ხელს, რომლის შემოტანა ყოველ წლობით სამღვდელოების ყრილობაზე დეპუტატებმა **1872** წელში გადაწყვიტეს. სემინარიისათვის გადადებულ ფონდის ფულს ამით კი არ ემატებოდა, ყოველ წლობით აკლდებოდა და დღეს **11000** მან. მეტი აღარ არის. ეს ფულები პრიკაზში არის დაცული.

**1881** წელში იმერეთის ეპისკოპოსის დაუცხრომელი შრომით და თხოვნით დასავლეთის საქართველოის სამღვდელოებას დაენიშნა ნიადაგი შემწეობა სახელმწიფო ხაზინიდამ ას თერთმეტი ათასი და ერთი მანეთი **(111,001)**. ამ ფულებიდამ სამღვდელოებამ მიიღო, როგორც ყველამ იცის, ოცი ათასი მანეთი მარტო. **1881** წელში ამ ფულებიდამ ყოველ მღვდელს შეხვდა მანეთზედ თვრამეტი კაპეიკი. დაენიშნა თუ არა სამღვდელოებას ფული, მაშინვე მოიფიქრეს სემინარიის დაარსებაზედ. **1881** წელში იმერეთის ეპარხიის სამღვდელოებამ ყრილობაზედ გადაწყვიტა სამი წლის ჯამაგირის, ე. ი., შემწეობის შეწირვა ყოველ წლობით ნახევარ ნახევარისა ვიდრემდის სამი წლის სრული ჯამაგირის ფული შედგებოდეს. სამღვდელოების ყრილობამ სთხოვა სამეგრელოს სამღვდელოებას, რომ ისინიც ძმურად მიდგომოდნენ ამ საქმეში. სამეგრელოს სამღვდელოებამ ფრიად სასიამოვნო და შესანიშნავი განჩინება დაადგინა ამ საქმის შესახებ და სრული თანხმობა გამოუცხადა იმერეთის სამღვდელოებას. ასე დაბოლოვდა **1881** წელში ეს ყოვლად სასარგებლო და საჭირო საქმე—სემინარიის დაარსებისა ქუთაისში.

მობრძანდა ახალი ექსარხოსი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პავლე. ყოველივე იმედი სამღვდელოთა სემინარიის დაარსებაზე მათზე იყო მიქცეული. სამღვდელოება დასავლეთის საქართველოისა მოელოდა და მოელის მისგან სემინარიის დაარსების საქმეში იმას, რაც პირველმა რუსის ექსარხოსმა თეოფილაქტემ უყო აღმოსავლეთის საქართველო სამღვდელოებას. მართლაც, სასიხარულოდ ყოველთა, ახალი ექსარხოსი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი არხიეპისკოპოსი პავლე ქუთაისში სემინარიის დაარსების საქმეს უყურებს კეთილის თვალით და ხმარობს ყველა ღონეს ამ კეთილის საქმის აღსრულებისათვის. მან მოიტანა ის სასიამოვნო ამბავი ქუთაისის სემინარიის შესახებ რუსეთიდამ, რომელიც ჩვენ ჩვენი გაზეთის პირველ ნომერში გამოვაცხადეთ...

ამ თვის პირველს არიან დაბარებულნი სამღვდელოთა დეპუტატები, რომელთაცა სხვათა შორის ექმნებათ მსჯელობა უწმინდესის სინოდის წინადადებაზედ, შესახებ სამღვდელოებისაგან შეწირული სამას ოცდა ცამეტი ათასი მანეთის **(333,000)** სინოდის უწყებაში გადაცემისა. იმ პირობით, რომ სინოდი თავის მხრით ქუთაისის სემინარიას სწირავს ერთ დროებითად ორასი ათას მანეთს **(200,000)** და სამღვდელოებისაგან შეწირული ფულის სარგებელს ყოველ წლობით შემადგენელს **თექვსმეტი ათას ექვსას სამოცდა ათი მანეთისა** **(16,670)** გამოგზავნის სემინარიის შესანახავად.

დღეს დიდი მოფიქრება მართებს იმერეთის ეპარხიის სამღვდელოებას ამ დიდ საქმეზე. სემინარიაზედ არის უმთავრესად ჩვენი სამღვდელოების შვილებთა ბედი და უბედობა დამოკიდებული. მე, ვგონებ, ყველა ცნობდეს ეხლა სემინარიის დაარსების საჭიროებას **ქ. ქუთაისში**. საქართველოს ეპარხიაში, მიახლოვებით რომ ვსთქვათ, ხუთასიოდე კრებულია და მათ ერთი სემინარია აქვსთ, და სამი ოთხ კლასიანი სასწავლებელი. დასავლეთის საქართველოში ირიცხება თითქმის ათას ხუთასი მღვდელი; აქ ერთი სემინარია არ არის. რასაკვირველია, ამაზედ სამღვდელოებას მართებს კარგათ მოფიქრება და მსჯელობა.

ამდენმა სამღვდელოების თხოვნამ და მიწერ მოწერამ, მადლობა ღმერთსა, მიაწია უმაღლეს მართებლობამდის და დაანახვა მას ქუთაისში სემინარიის დაარსების საჭიროება. დღეს ის არა თუ ნებას გვაძლევს, არამედ დიდ შემწეობას და დახმარებას გვპირდება. ეხლა არის სწორეთ დრო ამ საქმეს კაცმა ხელი მოუწყოს და მოეხმაროს.

რამდენათ მოსურნე და მომლოდინე არის სემინარიის გახსნისა ქუთაისში საზოგადოება, სჩანს იქიდამ, რომ ისიც არაფერს იშურნებს ამ კეთილი საქმის შეწევისათვის. წარსულ თვეში ქუთაისის ქალაქის საბჭომ ერთხმათ გარდასწყვიტა ოთხი დესიატინის ადგილის შეწირ-

ვა სასულიერო სემინარიისათვის ქუთაისის ვაგზალის სიახლოვეს. ეს ადგილი მშვენიერი და მოწყობილი ადგილია სწორეთ სემინარიისათვის. ამ ადგილს ახლო აქვს წყალი და ყველა გზები; ჰაეაც მშვენიერი არის ამ ადგილას. ამ ადგილის სიახლოვეს არის ის ადგილი, ეკკლესია და სახლები, რომელიც გ. სტრუიცკიმ შესწირა იმერეთის ეპარხიის სასარგებლოდ, ღირებული არა ნაკლებ სამოცი ათასი მანეთისა (60,000).

ყველა ზემო ნათქვამიდამ სჩანს, რომ ქუთაისში სასულიერო სემენარიის საქმეს ყველანი და ყველაფერი ხელს უწყობს და თანა უგრძნობს. სემინარიის დაარსებას ქუთაისში მოუთმენელად მოელის არა მარტო სასულიერო წოდება არამედ ყველა საზოგადოება, რომელიც მოწადინე და მოსურნე არის ნასწავლი მღვდლებისა და მათი ქადაგების მოსმენისა.

ფული სამას ოცდა ცამეტი ათასი მანეთი სადაც უნდა იყოს შენახული, თუ სამღვდელოების სახელით იქნება—ერთია. წმიდა სინოდი თუ მიიღებს მისს დაცვას კიდეც ემჯობინება, რადგან უფრო საიმედოდ იქნება დაცული, მაგრამ რომ, ვინ იცის, დრო შეიცვალოს და სემინარია დაარსების შემდეგ რომელიმე მიზეზისა გამო მოიშალოს, მაშინ სამღვდელოებას, რასაკვირველია, თავისი კაპიტალი არ უნდა დაეკარგოს...

იმედია, რომ ერთსულობით და ერთგულობით გარდაწყვეტს ამ წინა დადებას იმერეთის სამღვდელოების კრილობა, ისე, როგორც გადაწყვიტეს სამას სამოცდა ცამეტი ათასის მანეთის შეწირვა სემინარიის დაარსებისათვის ქუთაისში...

---

## სოფლის მღვდლის წერილები.

### I.

### რა აგრძელებს მღვდლებსა და მრევლ შორის უთანხმოებას და უკმაყოფილებას?

თუმცა საზოგადოდ არ შეიძლება სთქვას კაცმა, მაგრამ, ბევრს ადგილას მაინც, გაბედულად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მღვდლებსა და მრევლს შორის სიყვარულობითი დამოკიდებულება აღარ არის, რაც წინეთ იყო. ხშირათ ისეთ სიტყვებს გაიგონებთ მრევლთაგან თავის მღვდლებზე, ისეთ სამდურავს, რომელნიც დაგარწმუნებენ, რომ მრევლ და მღვდლებ შორის ძველი სიყვარულობითი დამოკიდებულება აღარ სუფევს. ამის მიზეზს მრავალნი პირნი მღვდლების საქციელში, მათ მოქმედებაში და მათ მოქცევაში ეძიებენ; მათ ან არ იციან ამ სამწუხარო მოვლენათა მიზეზები და, ან განგებ მალვენ ნამდვილ მიზეზებს და, მაინც-და-მაინც, ცდილობენ ყველაფერში მღვდლები გამოიყვანონ დამნაშავედ. ამის დასამტკიცებელად საკმაოა ერთი თვალის გადავლება საერო წოდების ჟურნალ გაზეთებთა. რას არ წაიკითხავ იქ სამღვდელოებაზე? მღვდლებზე წერს ყველა: ნასწავლი და უსწავლელი, თათარი, ურია, მორწმუნე და ურწმუნო, დიდი და პატარა. ვინც პირველად კალამს იღებს ხელში თავის, ვითომ დიდი სწავლა განათლების დასამტკიცებლად, მღვდლებს მივარდება და მოყვება ლაპარაკს იმისთანა საგნებზე, რომელიც სრულებით არ გაეგება. ცამეტი და თოთხმეტი წლის ყმაწვილი გამოდგება და სხვადა-სხვა მღვდლებსა და მრევლს შორის ახალ დამოკიდებულების პლანებს გიხატავს!..

სამღვდელოება ყოველთვის ყველაფრის მომთმენი გაჩუმებული უყურებს და ხმას არ იღებს. მან კარგად იცის ის მიზეზები, რომელიც ხშირად ყოველნაირ სიყვარულობითი დამოკიდებულებას მღვდლებსა და მრევლ შორის ბოლოს უღებს, მაგრამ რას იზამს? დროება შეიცვალა; სხვა წესები სუფევენ მღვდლებსა და მრევლ შორის.

ამისთანა მიზეზებში, სხვათა მრავალთა შორის, პირველი ადგილი უკავია მღვდლის რჩენას მრევლთაგან. მღვდლის შენახვა, სარჩო სრულებით განსხვავებულია ყოველთა მოსამსახურე პირთა შენახვას და სარჩოს მიღებაზე. ყოველ მოსამსახურე პირთაგან მხოლოდ საჭიროდ დაუნახავსთ ზოგიერთებს მღვდლების სარჩოს მიღების განსხვავება. ყველა მოსამსახურე პირს არჩენს საზოგადოება და აძლევს მათ ჯამაგირს; ყოველ წელს იხდის გლეხი სახელმწიფო გადასახადს ორ დროს. ნუ იფიქრებთ, რომ ვინმემ ეს გადასახადი არ გადაიხადოს, ანუ ამ გადასახადის აღებაში დაემდუროს ვისმეს... შემდეგ ეს შეკრებილი ფულები ყველა მოსამსახურე პირებს უბრალო სტოროჟებამდინ (ყარაულები, დამცველები) ეძლევათ უდავიდარაბოდ ყოველი თვის ოც რიცხვს. მოხდება ხოლმე, რომ ზოგიერთ გლეხს ქვაბებსაც წაართმევენ ამ გადასახადში და სხვა საჭირო ნივთებსაც, მაგრამ თავის დროში არ მომხდარა მოსამსახურე პირებს, რომელნიც ამ გადასახადს ჯამაგირათ იღებენ, დამდურებოდნენ. ხშირად შეხვდები გლეხებ შორის ამისთანა ლაპარაკს და მსჯელობას: ,,ღმერთმან უშველოს, კაი კაცი ყოფილა ჩვენი ,,მიროი სუდი“. ოთხი საათი სულ ჩემ საქმეს მოუნდა, გაწ-

ვალდა საწყალი და კიდევ ჩემ სასარგებლოდ გადაწყვიტა. იმას არ ვიზემდი, მე რომ ვყოფილიყავი. კაცო! რათ ვიზამ, რათ გავიჭირვებ საქმეს? ფულს არ მაძლევ, ძღვენს არ მომიტან და შენზე ტყუვილა უნდა ვიშრომო! აბა რისთვის? ღმერთმან უშველოს, სწორეთ კაი კაცი ყოფილა.“

ახლა უყურეთ მეორეს რას ამბობს: ,,ღმერთმან ამოაგდოს ჩვენი ზოგინა, კაი საქმე მე იმან მიყო; მოვიდა გუშინ-წინ და მღვდლის გადასახადში კინალამ ერთი ძროხა გამიყიდა! მიველი შევეხვეწე მღვდელს, რომ ედროვებინა. მღვდელმა მითხრა: შვილო, ჩემი დრამის ფული ერთი მანეთია და ის შენ სახელმწიფო გადასახადს გახდევინებს და შენც უარს ვერ ეტყვიო. მოვედი და უთხარი ,,ზორჩიკს“, მაგრამ არა გაიგონა-რა; გადამახდევინეს დრამის ფულიც და სახელმწიფოც. ეს ჩვენი მღვდელი ძლიერ ცუდი კაცი ყოფილა: მამა მომიკვდა და ექვსი მანეთი გადამახდევინა საწირავათ... ცოლი მომიკვდა და ,,ორმოცზე“ სანამ ფულები არ მივეცი, ტაბლა არ მიკურთხა. პატარა ბავშვი მამიკვდა და დასამარხი მანეთ ნახევარი გამომართვა.“

სახელმწიფო გადასახადი გლეხს ჰხდება თუმანი და ხან მეტიც და მღვდლის წელიწადში ორი მანეთი და სხვა წესების ასასრულებელი. მღვდელს საშუალო რიცხვით ეძლევა ასი მანეთიდამ ოცდა ხუთ თუმნამდისინ და არა მარტო მღვდელს,—მთელ კრებულს: ერთ მღვდელს და ორ მედავითნეს. სხვა მოსამსახურე პირები ათასი მანეთიდამ სამი ათასამდინ იღებენ ჯამაგირს; მაგრამ არ მომხდარა ჯერეთ, რომ ხალხს სადმე საყვედური განეცხადებიოს მოსამსახურე პირთა ჯამაგირების ფულის შეკრებისა და გადახდევინებისათვის. მე დარწმუნებული ვარ, სამოქალაქო წოდების მოსამსახურე პირებიც, რომ იმ წესით იღებდნენ ჯამაგირებს როგორც მღვდლები, ვერ ასწერთ ხალხის სამდურავს ამ მოსამსახურე პირებზე. მხოლოდ ერთად ერთ მღვდლებსა და მრევლ შორის არის ამისთანა ცუდი წესი: მღვდლებისაგან სარჩოს აღება მრევლთაგან და მრევლთაგან მღვდლების შენახვა...

ეს წესი დიდად აბრკოლებს სამღვდელოებას თავისი დიდი მოვალეობის და დანიშნულების მტკიცედ აღსრულებაში. და ეს არის უპირველესი მიზეზი მღვდლებსა და მრევლს შორის კეთილ განწყობილების დამარღვეველი და მღვდლების წოდების დამამცირებელი...

**სოფლის მღვდელი.**

# წერილი რედაქტორთან.

## I.

ბ. რედაქტორო!

მომეცით ნება ორიოდე სიტყვა გამოვსთქვა გაზეთის ,,მწყემსის“ გამოცემაზედ.

ძვირფასი იარაღი გამოუჩნდა სწორეთ სამღვდელოებას თავისი მძიმე მოვალეობის აღსასრულებლად. ეს გაზეთი დაეხმარება მათ გონებით და ზნეობით მდგომარეობის გაუმჯობესობას და ამით გაუადვილდებათ მწყემსებრივი სამსახური სასარგებლოდ ეკკლესიისა და მათ სამწყსო ხალხთა. ,,მწყემსის“ საშუალებით შეუძლიათ გამოსთქვან ათას ნაირი გულის ტკივილი და გაჭირვებული ცხოვრება, რომელიც თითქმის ყოველს ნაბიჯზე შეხვდებათ ხოლმე სამღვდელოებას. ამ გაზეთით, იმედია, შეიტყობს საზოგადოება იმასაც, თუ ვინ არის კეთილი მწყემსი და ვინ—დაუდევნელი. ვის არ წაუკითხავს საერო წოდების ჟურნალ გაზეთებში ათას ნაირი უსაფუძვლო ჰაზრი და მსჯელობა სამღვდელოებაზე...

ამ გაზეთის საშუალებით შეუძლია ყველას მოიწმინდოს ის ტალახი, რომელსაც მას აცხებენ უსაფუძვლოდ და უმართლოდ. ეს ორგანი გააცნობს და დააახლოვებს ერთმანეთთან სამღვდელოებას. აი ამის და ამგვარის საჭიროებისათვის ძვირფასია, განვიმეორებ, სასულიერო გაზეთის გამოსვლა. გვქონდა ერთათ ერთი სასულიერო ჟურნალი ,,მახარებელი“, რომლის გამოსვლას შეხაროდა სამღვდელოება, მაგრამ იმის გამოცხადება ჩვენთვის ელვასავით იყო; ელვასავითვე მალე გამოგვეცალა ხელიდამ. რა მიზეზი იყო მისი მოკლე სიცოცხლისა, ნამდვილათ არ ვიცი, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, იმან დაიძინა საუკუნოდ და ჩვენი სამღვდელოებაც გაჩუმდა; არც ერთის ხმა, არც ერთის ჰაზრი და გულის პასუხი არსაიდამ არ ისმოდა, თითქო ყველა მათგანი კმაყოფილი იყოს თავიანთის ბედისა, თითქო ყველა ისრე განვითარებულნი იყვნენ და ასრულებდენ თავიანთ ვალდებულებას, რომ საჭირო არ იყოს მათ შორის წერა და ლაპარაკი სხვა და სხვა საგნებზე. ჩვენ ვიცით ისეთი კაცები, რომლებიც ძლივს კითხულობდნენ ქართულს წიგნებს, მაგრამ როდესაც მათ დაიწყეს გაზეთ-ჟურნალების გამოწერა და კითხვა, მაშინ ისინი სულ სხვა კაცებათ გარდაიქცნენ; ეხლა რომ მიბრძანდეთ მათთან, ისინი საპოლიტიკო და სალიტერატორო საგნებზედაც მსჯელობას დაგიწყებენ და გაგაკვირვებენ, თუ მათი უწინდელი ცხოვრება, მათი გული და ხასიათი იცოდით. ეს

შეუძლია გაზეთ-ჟურნალების კითხვას. ჩვენი სამღვდელოებაც, თუ გულგრილობას არ გამოიჩენენ ამ ახალ სასულიერო გაზეთის კითხვაზე, დარწმუნებული ვარ, სრულიად სხვა კაცები შეიქნებიან ცოტა დროს შემდეგ და მათი სული და გული სულ სხვა გრძნობას მიეცემა. მეც, სხვათა შორის, შევეხარები „მწყემსის“ გაზეთის დაბადებას, რადგან ეს „მწყემსი“ თუმცალა ყველასათვის სასარგებლო იქმნება, მაგრამ უმეტესად მწყემსთათვის, რათა მათ დამწყსონ სამწყსო თვისი კეთილად; ამიტომ მიულოცავ მას დაბადების დღეს: ღმერთმა დიდის ხნის არსებობა მისცეს, აღასრულებიოს თავის დანიშნულება და რათა, სიტყვისამებრ მაცხოვრისა, მან „მწყემსმან“ სული თვისი დასდვას ცხოვართათვის.“ *)

სოფლის ზოსტანის სამრევლოის მწყემსი.

რაჭა.

---

ქუთაისიდგან, 20 ოკტომბერს. უწმიდესი სინოდის უქაზის ძალით სასულიერო სასწავლებლის პროგრამიდამ გამოირიცხა ბერძნული ენა, შემოკლდა ლათინური ენის გაკვეთილები და მოემატა გაკვეთილები ქართულ ენას, რომელიც დღეის შემდეგ აღიარებულია შტატის საგნად.

სასულიერო სემინარიაში, მართალია, ბერძნული ენა არ გამორიცხულა, მაგრამ მისი გაკვეთილები ძალიან შემოკლდა. თუ რამოდენად აბრკოლებდა და აბრკოლებენ სწავლის საქმეს ძველი ენები ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში, ეს ყველასათვის ცხადია და ამიტომ სასიხარულოა ბერძნული ენის მოსპობა მაინც.

ამავე უქაზის ძალით, მთელს იმპერიაში, მარტო ჩვენს თბილისის სასულიერო სემინარიას მოელის პროგრამის შემოკლება, რომელიც დამოკიდებულია მაღალ ყოვლად უსამღვდელოეს ექსარხოსზედ; ამათ ეძლევათ უფლება, ან სულ მოსპონ და ან შეამოკლონ სემინარიაში შემდეგი საგნების გაკვეთილები: ფილოსოფიისა, პსიხოლოგიისა, ლოღიკისა და პედაღოღიკისა და ამ საგნების გაკვეთილების დრო მოახმარონ ძველი ენის გაკვეთილების გაძლიერებას. არა მგონია, რომ ჩვენმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა არხიეპისკოპოზმა პავლემ ინებოს სემინარიის პროგრამიდამ ამ საგნების ან სულ გამორიცხვა, ან იმათი გაკვეთილების შემოკლება, რადგან ამ საგნებს, უიმისოთაც, ცოტა გაკვეთილები აქვსთ და ამ საგნების შეუსწავლებლობა ძლიერ ცუდათ იმოქმედებს მოსწავლეთა გონებით გახსნაზე.

ჩვენ სემინარიის პროგრამის შემოკლებაზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ, როგორც თქვენი პატივცემული გაზეთის წინა ნომერშივე იყო მოხსენებული, უწმიდესი სინოდი დათანხმებულა ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნას. ამის თაობაზე ამ ნოემბერში სხვათა საგანთა შორის, ექნება სჯა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების დეპუტატთა, რომლების გარდაწყვეტილებაზე არის დამოკიდებული: იქნება ქუთაისში სასულიერო სემინარია, თუ არა და თუ იქნება რა პირობით?

ჩვენის აზრით, ძალიან კარგი იქნებოდა, რომ სემინარიის საქმის შესახებ მოეწოდებიათ მთელი ეპარხიის დეპუტატები ქუთაისში.

უწმიდესი სინოდი ბევრს შემწეობას ჰპირდება სემენარიის სახლის აშენებისთვის, მაგრამ მარტო ერთი სახლიც ვერას იზამს, თუ სემინარიის პროგრამა კარგი არ იქნა.

მეორე საგანი, რომელზედაც დეპუტატებს ექნებათ ლაპარაკი, არის ქუთ. სასულიერო სასწავლებლის მომავალი წლის ხარჯის განხილვა და დამტკიცება. აქაც სამღვდელოების დეპუტატებს სჭირდებათ, კარგად მოფიქრება. საქმე ის კი არ არის, რომ რომელიმე ხარჯს მოუმატონ, ან მოუკლონ; საქმე ის არის, კარგად გაიგონ, რას რა უნდა მოუმატონ, ან—მოუკლონ და რისთვის? შეიძლება, რომელიმე ხარჯი მომატებას ითხოვდეს და იმის მოუმატება სასარგებლო იყოს. ისიც შეიძლება, რომ რომელიმე ხარჯის მომატება ცოტა ფულს ითხოვდეს და სასარგებლო არ იყოს.

გარდა ამისა, ჩვენის მხრით, ურჩევთ სამღვდელოებას, რომ დანიშნან სასწავლებელში ეკონომი და განათავისუფლონ ამ ხელობისაგან სასწავლებლის ზედამხედველი, რადგან ამ მოვალეობის აღსრულება აბრკოლებს მას სასწავლებლის სამასწავლებლო ნაწილის მართვაში. ხეირიანი კაცი ხუთას მანეთად ყოველთვის მიიღებს თავზე ეკონომის თანამდებობას და ამ ფულების მიცემა ბევრს ხარჯს არ მოუმატებს სამღვდელოებას. ეკონომს შეუძლია მიიღოს თავის თავზე სასწავლებლის წიგნთ-საცავის თანამ-

*) მადლობას ვსწირავთ პატივცემულ ავტორს ამისთანა თანაგრძნობის გამოცხადებისათვის. ვარწმუნებთ ამასთან მას, რომ ჩვენ ყოველივე ღონეს ვიხმართ და ვეცდებით მოყვანილი მაცხოვრის სიტყვები აღვასრულოთ. სრული იმედი გვაქვს ნამეტანი ნაწილი ჩვენი თანა მოძმენიცა არ დაივიწყებენ სიტყვებსა პავლე მოციქულისასა რომელი იტყვის: „ძმანო! ნუ ვინ თავისასა ხოლო ეძიებენ, არამედ მოყვსისასაცა თვითეული.“ (1 კორინთ. 10—24).

რედაქტორი.

დებობის აღსრულება და საქმის მწარმოებლის თანამდებობაც. ამ ორ თანამდებობის აღმასრულებელთ ეძლევათ წელიწადში: პირველს **100** მანეთი და მეორეს ხან **120** მანეთი და ხან მეტი. ამ სამი თანამდებობის აღსრულება ძალიან ადვილად შაუძლია ერთ პირს და სამღვდელოებაც იოლად გამოვა.

ამასთან საჭიროა, სამღვდელოებამ ყურადღება მიაქციოს შაგირდების ზნეობით მდგომარეობას; დაეხმარონ ამ შემთხვევაში სასწავლებლის მთავრობას და ინსპექციას რითაც შეიძლება. გასინჯონ კარგად ახლანდელი ინსპექციის წარმომადგენელთა რიცხვი კმარა თუ არა, რომ შაგირდებს კარგად მოუარონ?

ამასთან ერთი რჩევის მიცემა გვინდა სამღვდელოებისათვის და კიდეც გავათავებთ ამ წერილს. რუსეთში ყველა ეპარხიებში მიღებული აქვსთ კანონად კეთილი და პატიოსანი სამღვდელოების პირების აღრჩევა დეპუტატებად. ჩვენში ამაზედ ყურადღება არ არის მიქცეული სამღვდელოებისაგან. ჩვენ ვიცით რომ ბლაღოჩინებს აქვს მიწერილი, რომ დეპუტატებად არ აღმოარჩევინონ სამღვდელოებას შენიშნულნი პირნი, მაგრამ მათგან ეს არ სრულდება. თვითონ სასწავლებლის წესდებაც თხოულობს ამას. ჩვენ, რასაკვირველია, ყველა დეპუტატებზე არ ვფიქრობთ ცუდს, მაგრამ ვიცით რამდენიმე დეპუტატები, რომელთაც მღვდლობა ჰქონდათ ჩამორთმეული და პრიჩეტნიკათ მსახურებდნენ, იყვნენ სხვა და სხვა უწესო საქმისთვის დასჯილნი და კიდევ დეპუტატებათ იყვნენ აღრჩეულნი, ეს ცუდათ იმოქმედებს მთელს ყრილობაზე და ორი სამი ამისთანა პირი მთელ შეკრებილებას დააბრკოლებს. იმედია ეს შემდეგ აღარ იქმნება.

სამღვდელოების მოკეთე.

## შენიშვნა.

ამას წინათ ერთს პატივცემულს ქართველს მიეცა მთავრობისაგან ნება, რომ მთელს რუსეთის იმპერიაში გამართოს ხელის მოწერა ფულის შესაკრებად ქართულის პირველ-დაწყებითის სახელმძღვანელოების გამოსაცემად. როგორც ვიცით, ამ კაცმა დიდი მეცადინეობა და ენერგია მოიხმარა და მრავალს ადგილს გამართა ხელის მოწერა აღნიშნულს საგნისათვის. მაგრამ ამ კაცის ხელი თუ ასე შორს მისწვდებოდა, როგორც გაზეთები გვაცნობებენ, აღარ გვეგონა. ამ დღეებში ჩვენ წავიკითხეთ შვიდ-მდინარის მხარის (Семирѣченская область) სამხედრო გუბერნატორის მიწერილობა მაზრის უფროსებისადმი, რომლისაგანაც ვტყობულობთ, რომ იმ მხარეშიაც ფუფილა თურმე დაწყებილი ხსენებულის საგნისათვის ფულების შეკრება და ბლომათაც მოუყრიათ თავი ფულისთვის. შვიდ-მდინარის მხარის უფროსი გაკვირვებულია, რომ ამ მივარდნილ მხარეში ჰკრებენ ფულებს ქართულის წიგნების გამოსაცემად და ტაშკენტში ნემცების საყდრის ასაშენებლად. უკეთესი არ იქნებოდაო, ნათქვამია მიწერილობაში, რომ ამ ფულებით მცხოვრებლებს თავის ყმაწვილებისათვის რუსული სახელმძღვანელოები გამოეწერათ და თავისი საყდრები გაემშვენიერებინათო.*) ამისთვის გუბერნატორი სწერს მაზრის უფროსებს, მოხუცებულის და გაგებულის კაცების შემწეობით შთააგონონ მცხოვრებლებს, თუ რა საგნისათვის იმეტებენ ისინი ამდენს ფულს და რაში უფრო ემჯობინებოდა ამ ფულების მიცემა. ჩვენ სწორედ ძალიან გაგვაკვირვა ამ განკარგულებამ, რომელიც ვგონებთ არ უნდა ეთანხმებოდეს უმაღლესის მთავრობის აზრს, რომელმაც კერძო კაცისაგან განცხადებული სურვილი პატივისდებაში მიიღო და მისცა მას ნება, ქართულის სახელმძღვანელოებისათვის ფული შეკრიბოს.

ჩვენ გულწრფელად უნდა აღვიაროთ, რომ რადგანაც ქართველები მართლ-მადიდებლის სარწმუნოების არიან და რუსეთის ქვეშევრდომი, მათ შორის სწავლის გავრცელებისათვს ფულის შეკრება, სადაც უნდა იყოს მთელს იმპერიაში, სრულიად უნდა ეთანხმებოდეს უმაღლესის მთავრობის განზრახვას; წინააღმდეგს შემთხვევაში მთავრობა არავის ნებას არ მისცემდა, რომ ამ საგნისათვის ფული შეეკრიბა. ამას გარდა ტაშკენტში ნემცების საყდრისათვის ფულის შეკრებაც არ მიგვაჩნია სჯულის წინააღმდეგად, რადგანაც ნემცებიც თავის სჯულით არიან ქრისტეს მიერ ძმანი ჩვენნი და სადაც ქვეყანა სხვა რჯულის კაცებით არის დასახლებული, იქ კირხის აშენებაც სასარგებლო უნდა იყოს ქრისტიანობისათვის. ჩვენის აზრით, თუ ის ფულები სწორედ იმ საგანს მოხმარდა, რისთვისაც იკრიბება, არც სჯულისა არც კაცთ-მოყვარე-

---

*) კაცმა თუ გულით მოინდომა, გასაკვირალს საქმეს აღასრულებს; მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც ამბობენ, ამ კაცის საქციელი მოსაწონი არ არის. ხელის მოწერა მთელს რუსეთში არის გახსნილი მარტო ამ კაცის გადათარგმნილი ორი სახელმძღვანელო წიგნის გასავრცელებლად და არა ყველა საჭირო ქართული სახელმძღვანელო წიგნების გასავრცელებლად. ამ ორ რუსული ენიდამ ნათარგმ წიგნებზედ ბევრი იყო დაწერილი, როგორც რუსულ ისე ქართულ გაზეთებში და აშკარად დამტკიცდა ამ წიგნების უვარგისობა. თუ მართლა მარტო ამ წიგნების გასავრცელებლად იკრიბება ეს ფულები, მაშინ არ შეიძლება კაცი არ დაეთანხმოს გუბერნატორის აზრს! ჩვენ დარწმუნებული ვართ, თვითონ პატივცემული ამ შენიშვნის ავტორიც მოიწონებს გუბერნატორის აზრს, თუ საქმე მართლა მარტო ამ წიგნების მოპოებაზე არის დაწყებული.

რედაქტორი.

ზისა და არც სახელმწიფო განზრახულების წინააღმდეგად არ მივიჩნევთ მის შეკრებას. რაიცა შეეხება იმ შემთხვევას, რომ შეიძლება ფულები ბოროტად მოიხმარონო, ეს მაშინაც იქნება მოხდეს, როდესაც ფულებს მართლ-მადიდებლის ეკლესიის აშენებისათვის ჰკრებენ.

## სხვა და სხვა ამბები.

იმ დროს აქეთ, რაც ექსარხოსის სასახლის ჯვარცმის ეკლესია გადიდდა და გამშვენდა, სიონის სობოროს თვალ საჩინოთ მოაკლდა თავისი დიდება და შესავალი. მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი იოანნიკე, დღეს მიტროპოლიტი მოსკოვისა, აქ ექსარხოსად მყოფობის დროს ხშირად ამ სასახლის ეკლესიაში წირავდა ხოლმე და ეს ცოტა არ იყო, საზარალო შეიქნა სობოროსათვის. მაგრამ, სასიხარულოდ ყოველთა ქართველთა, ახალმა ექსარხოსმა არხიეპისკოპოსმა პავლემ მოსვლისთანავე მიაქცია ყურადღება სიონის სობოროს. მისი განკარგულებით მოხდა ამ სობოროს გაახლება, რომლითაც ძველი მხატრობა გამშვენიერდა და გაბრწყინდა. თექვსმეტ ამ თვეს კიდეც აკურთხეს. წირვის შემდეგ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა არხიეპისკოპოსმა პავლემ წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა, რომელიც შემდეგ ნომერში იქმნება დაბეჭდილი.

სრული. იმედი აქვს ყველას, რომ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი არხიეპისკოპოსი პავლე ამ სობოროში ხშირათ გააგონებს ხალხს თავის მშვენიერ და მრავალ მნიშვნელობიან სიტყვა-ქადაგებას...

***

იერუსალიმის პატრიარქის არჩევაზე დიდი ლაპარაკი იყო, მაგრამ ეს საქმე გათავდა, მადლობა ღმერთსა, სასიამოვნოდ. პატრიარქად იქმნა ამორჩეული არხიეპისკოპოსი ფაორსკი ნიკოდიმი, მართველი მოსკოვის იერუსალიმის პოდვორიისა. ეს ნიკოდიმი დიდი ხნიდამ რუსეთში მსახურებს და რუსული ენა ძლიერ კარგად აქვს შესწავლილი. ამან მიიღო იერუსალიმიდამ სეკდემბრის თვეში შემდეგი შინაარსის ტელეგრამმა: ,,მოწყალებითა ღვთისათა და კურთხევითა თქვენ გამორჩეულ-ხართ ოთხი ავგისტოდამ იერუსალიმის პატრიარქად; მოგილოცავთ რა, თქვენო ნეტარებავ, ყველა სამღვდელო ძმებითა ვევედრებით ღმერთსა, რომ მან მოგანიჭოსთ თქვენ ტანის სიმრთელე, დღე-გრძელობა და სიმხნე სადიდებლად და საკეთილოდ სიონის ეკლესიისა. ოთხ ოკდომბერს კურიერის პოეზდით პატრიარქი მივიდა პეტერბურღში. პეტერბურღიდამ, როგორც გვაცნობებს ,,მართებლობის მოამბე‘‘, შვიდს ოკდომბერს წასულა ხელმწიფესთან გამოსაცხადებლად გატჩინოში. რკინის გზაზე ყველგან სტანციებში სამეფო ოთახები მისთვის გაღებულნი ყოფილან; გატჩინის ვაგზალიდამ ოქროთი მოვარაყებული კარეტით წასულა სასახლემდის. სასახლეში მის მოსასვენებლათ ოთახები ყოფილა დანიშნული და პირველად ამ ოთახებში შესულა და დარჩენილა ცოტა ხანს. ხელმწიფე იმპერატორს მიუღია თავის კაბინეტში თერთმეტ საათზე და ორმოდა ათ მინუტზე. სანამ ხელმწიფესთან შევიდოდა პატრიარქი, უნახავსთ სასახლეში სასახლის დიდ პირებს. როდესაც პატრიარქი გამოსულა ხელმწიფის კაბინეტიდამ, შემდეგ მიუღია იმპერატრიცას; მერმე დაბრუნებულა თავის მიჩენილ ოთახებში. ხელმწიფე **იმპერატორს** პატრიარქი მიუწვევია საუზმეზე და იმის შემდეგ ის ორ საათზე და თუთხმეტ მინუტზე ნაშუადღევს გატჩინოდამ პეტერბურღში დაბრუნებულა. შვიდსავე ოკდომბერს საღამოს პოეზდით პატრიარქი გამომგზავრებულა პეტერბურღიდამ. გამოთხოვება და გამოსტუმრება პატრიარქისა ყოფილა ძლიერ მგრძნობიარე; გამოთხოვებაზე მრავალნი პირნი ტიროდნენ და თვითონ პატრიარქსაც ტირილი მოსდიოდაო.

ათს ოკდომბერს პატრიარქი მოსკოვიდამ გამგზავრებულა კონსტანტინეპოლში სულთანთან გამოსაცხადებლად.

***

როგორც პირველ №-ში ვაცნობეთ მკითხველებს, რევიზორი საჩივრისამებრ სამეგრელოს სამღვდელოებისა, თფილისის სემინარიის სამართველოს დანიშვნით, ბ. სოგინი მოსულა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში და დაუთვალიერებია ყველაფერი. ჯერეთ არ არის შეტყობილი, რა უწესოება ნახა მან ამ სასწავლებელში და საფუძვლიანნი იყო თუ არა სამდურავი სამღვდელოების დეპუტატებთა თვისი სასწავლებლის ზედამხედველზე ბ. ამვროსი ხელაევზე; მაგრამ ის შემთხვევა, რომ ბატონი ხელაევი თანახმად მისივე თხოვნისა კიდეც დაუთხოვიათ სამსახურიდამ, რამდენიმედ მაინც გვიმტკიცებს ჩვენ სამღვდელოების საფუძვლიან საჩივარს და სამდურავს...

***

როგორც ვაცნობეთ წინა ნომერში ჩვენ მკითხველებს, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი არხიეპისკოპოსი პავლე საქართველოს ექსარხოსი მობრძანდა იმერეთის ეპარხიაში 25 ოკტომბერს. თფილისიდამ პირ და პირ წაბრძანდა ახალსენაკში და სამეგრელოის სასულიერო სასწავლებელი დახედა; მეორე დღეს ახალ-სენაკიდამ—მარტვილში; მარტვილიდამ წაბრძანდა ოზურგეთში; ოზურგეთიდამ ექსარხოსი მობრუნდა დაბა ხონში; აქ 1 ნოემბერს აკურთხებს ახალ სამასწავლობელო სემინარიის ეკლესიას და ქუთაისში მობრძანდება. პირველ ნოემბერს იმერეთის სამღვდელოების დეპუტატებს აქვსთ შეკრებილება ქ. ქუთაისში. იმედია, ყველა დეპუტატები ნახვენ ახალ ექსარხოსს.

## არხეოლოგიური და ისტორიული ცნობები და შენიშვნები.

ქართველთ ტომის ძველის ძველობა ყოვლად ცხადია, პირველად, ანბანის სიმდიდრით, მეორედ, ეგვიპტური, ფინიკური და არანულის გეოგრაფიულის სახელწოდებაებით და, მესამედ, ძველის ძველ გვარტომების ზნე-ხასიათების ნაშთებთა, რომელიც ლინგვისტიკურად გარდმობეჭდილია ჩვენს ქართულს ენაში.

შეიძლება უიმისოდ ვსთქვათ, ვინ არიან აფრიკელები, ეგვიპტელები, პოები, სირიელები, ბაბილონელები, ქურთები, ბერძნები, პარსელები, სარმატები, ლეკები და სხვაც?

გარნა რა დავაკვირდებით მათ სახელწოდებაებს ნაშთ ლექსებსა ჩვენს ენაში, მაშინ ძალა უნებრივ დავრწმუნდებით, რომ ჩვენ ძველ წინაპართ ცნობილნი ტომნი ყოფილან, იქამდის, ვიდრე მათ დაახლოებას დაუბადია თვითოეულ სახელწოდებაების მსგავსნი სხვა და სხვა ლექსნი, რომლებშიც მკაცრად იხატება მათი ზნე-ჩვეულებანი!

მაგალითად: აფრიკელების ზნე-ჩვეულებისათვის მრუდად შეგვიხედავს, მით ალმაცერს და მომრუდო ნივთს შეშას ან ფიცარს ვეტყვით აფრაკს. ეგვიპტელებისთვის თავიანთ სახელის შესაბამ გვიწოდებია კოპიტი (გაუთლელი უგლაგარჯი); აქეთგან წარმომდგარა კოპი (აბორცვილი), გაკოპიტება, კოპიჭნარი და სხვაც. ესენი დიდისხნის აქეთ თუმც ათას წლობით დაშორებულ არიან ჩვენგან; მაგრამ მაინც მათი ზნეობის მიმდევი ლექსნი დაგვშთენია ენაში სამარადისო სახსოვრად!

პოები არიან ჩვენებური სომხები; პოიას ეტყოდნენ ჩვენი წინაპარნი მათ, რომელიც ნამდვილი წოდება არის მათი ტომისა. სომეხი კი შეცთომილება არის; რადგან ყოველ სემის ტომთ მიეწერება სომხობა, პოები კი იაფეთის ტომისანი არიან! მართლა ტაკიტი პოებად იხსენიებს პელასგელებთაგან ერთგვარს ტომსა, რომელთაც დაისაკუთრეს ბოემის მიდამონი, მით ეწოდათ ბოემელნიო. სწერს თავის არხიოლოგიურს ცნობებში გარნა კი არ იცის, თუ რომელი ტომისგან მომდინარობდენ. აი ამ პოების ზნე ხასიათებისგან დაშთენილა ჩვენ ენაში: შეპოება, (მორიდება), შეუპოვარი (გლისპი). თქმა არის თავითგანვე მოშიში ყოფილან, მკრთალნი და უმტკიცონი, რომ ვერსად მიუდგამთ ფეხი!

სირიელებთან უფრო გვქონია მრავალი ამლებმიმცემობა, ომები, ბჭობა და ცილობა, როგორც ხსნის ბ. ლინორმანი თავის ლურსმულ წარწერაების ახსნაში: მისგამო მრავალი ზედ შესრული ლექსნიც დაგვშთენია სახსოვრად, როგორც, მზირი, მწირი, მცირი, მძვირი, ბჭირი და სხვ.

ბაბილონელებისგან დაშთენილა მრავალ განყოფილების მნიშვნელი ლექსი, როგორც მრავლად დაყოფილ ხის ტოტების კენწერთ ვეტყვით ბაბილოს. ქურთებისგან დაშთენილა მპარავობის სახელი ქურდობა, ქურთენა. თქმა არის, განთქმულნი მპარავნი ყოფილან და მცარცველნი, რადგან ქურთვნა გამელევა, ტყავის გაძრობა და გალოპრვა არს.

ბერ ეწოდებოდა კახეთის ჩელეთს, როცა ქართველებმან მისი შთამომავალნი გასდევნეს, რომელიმე მიზეზების გამო კახეთით და მის მიდამოებისგან, უწოდეს მათ ბერძენი (ბერისძენი). ამათ კავკასიითგან გარდასვლას ამბობენ ისტორიკოსნი ქრისტეს წინ 1550 წლით საბერძნეთისკენ. რადგან ესენი ფილოსოფიურს სწავლაში და სამოქალაქო სჯულ-კანონებში უფრო წარემატნენ სხვა ტომებზედა, ამისთვის გონიერ და სწავლულს პირთ შეუსაკუთრეს ჩვენ წინაპართ ბრძენი წოდება!

პარსელები რომ მძლავრნი ყოფილან მუდამ თავიანთ დღენი, დაშთენილა მით ჩვენში პარსვა (გაკრეჭვა) პირის სახისა თუ თავისა, ბასრვა (გაკიცხვა). თქმა არის, არა მარტო ჩვენი ამვოხრებელნი და ამომწყვეტნი ყოფილან, არამედ მეტად მბასრობელნიცა!

სარომატები იყვნენ კავკასის მთის იქით პირელნი მრავალ ტომად დაყოფილნი ძველი სკივთების განაყოფნი, არც ამათ დაახლოვებია ჩვენი ქართველობა, ამათ სარმატ წოდებითგან წარმომდგარა ჩვენში ლექსი წარმართი. თქმა არის უსჯულონი ყოფილან მეტად და დაშორებულნი ყოველი ზნე ჩვეულებაებით ჩვენგან.

ამ გვარივე არს ლეკი, იქამდის შეუთვისებელი სჯულ კანონი ჰქონიათ, რომ ჩვენში დაშთენილა სამაგალითოდ წალეკვა (წყალრღვნა), ლექვა, გარდალექვა (მეტად დათვრობა). ოსებისაგან დაშთენილა ასევა (ატეხვა) მოსევა (მოვარდნა) და სხვაც მრავალთა ასრე...

მეოთხედ ჩვენს ძველის ძველ გვაროვნობას ამტკიცებენ, ქალაქ-მთათა სახელწოდებანი ძველის ძველ გმირების და კერპების სახელობითა, როგორც ბახუსისა ბაქო, ტარბანისა დარბანი, არტემისა ართვინი, ოსირისა ოზურგეთი, თოთისა ფოთი, არმაზისა არმაზი, აპულონისა აბულის მთა, არსისა არსიანის მთა, პალლასი პალლაკაციის ტბა, თობალისა თბი-

ლისი (თობალისი), იაფეთისა აბასტუმანი, მის მახლობლად ზადენი, სადაც დასაფლავებულა ნოე, რადგან წარმართნი სათენს უწოდებდენ ნოესა. ეს სახელ წოდებანი, შეიძლება ვსთქვათ, კავკასიითგან გარდიტანეს საბერძნეთში ბერძნებმან და კერპებად გაიხადეს შემდგომში და მათის მიბაძვით ლათინებმან!

ამ ქალაქ მთების სახელწოდებანი თუმც ჩვენს ქვეყანას ყოფილან, გარნა აქეთგან ეს არ აიღება, როგორც თუ პირველად ჩვენ შემოგველოს კერპებად ეს უწინდელნი დევ-გმირნი, არამედ საბერძნეთში დაწყობილ იქმნა მათი თაყვანება, სამსახური, როგორც გვაჩვენებს ჰომირო თავის ილიადში და მილოტელების შემოსვლასა ჩვენს მხარედ, ნელ-ნელა გავრცელდა ბერძნების კერპთ თაყვანის ცემაც ჩვენში!

ჩვენ წინაპართ პირველ კერპად გაუხდიათ მბოძი (მომნიჭებელი, სვე ბედი). ამის ძეგლი იყო უსახეო ქვა სვეტის მსგავსი წოწოლა, ერთი იყო აბოცის მთაზედ (ყაიყული ყაზანჯის): მეორე ბოძხევს დიღვირში, რომელი ჯერაც არს უშლელად: და მესამე აფხაზეთში ბიჭვინტას! გარდა ამისა სხვა მრავალ ქალაქ დაბებში გავრცელებული ყოფილა, მაგრამ დროთა ცვლილებას სხვა გვარი წოდებაების ზეწრით დაუფარია.

წარმართნი სვე ბედს ამბობდნენ ასულად იოკიანისა, ერთ ფერებთაგანი, რომელიც პერსეფონთან ერთად ყვავილსა ჰკრებდნენ, იმ დროს ალიტაცა იგი და დადგინდა მფლობელად ყოველთა ღმერთებისაო. ამას ჰსახევდნენ ხან ახალგაზრდა ქალის სახითა, ქარასხი ხელთ ეპყრა ნიშნად უხვი მოსავლიანობისა, და თავს ედგა ცა, და ხან ხატევდნენ ბებრის სახითა მარჯვენა ხელთ ცეცხლი ეკავა და მარცხნივ წყალი. ზოგთა ბრმა ყრმა უდგათ გვერდში, რომელსაც ება ფერხთა ფრთები და ზოგთაცა ახალგაზრდა ქალიშვილი, დაყუდებული დაბჯენილი ურმის თვალზედა (გოგორაზედა). ამ უკანასკნელის მსგავსებისაა სწორედ დიღვრის ნაშთი მბოძი, ჯერაც მცხოვრებნი ნანა ტაშსა (ბებრის ქვას) ეძახიან და მის მსგავს ზღაპრებით ასახელებენ.

ჩემის აზრით, სვე ლექსი წარმომდგარია სემის სახელისაგან, როგორც ერთად ერთი ბედნიერ ვისმესაგან და ბედიც იაფეთისაგან, რომელიც ჩვენი მამა-მთავარი იყო, ესენივე ყოფილან მომნიჭებელნი სემელთა და იაფეთის მოდგმის ცხოვრებისა და მბოძიც მისივე მნიშვნელია. ეს კერპნი საზოგადოდ, რომ სვეტის მსგავსად ამართულნი იყვნენ, აქეთგან წარმოსდგა სახელწოდება მომცრო სვეტისა ბოძი.

ამ სვე ბედმან შემდგომში სხვა წოდებაც მიიღო და ეს გახლავსთ წერა, როგორც ახლაცა ვხმარობთ. როცა ვისმე ჩვენს ძმათაგანს შეემთხვევა რამე მარცხი, უბედურება, ვიტყვით: მისი წერაც ის იყო, მოუვიდა და გარდახდა თავსაო. ეს წერა ლექსიც აღებულია მიცვალებულთ ხმელი კემხისაგან, რომელზედაც ატყვია ჯაჭვისავით ნაწევარი წარწერილების მსგავსად.

ამასვე გვიმტკიცებს წოდება ნაოხარი სოფლის წერაკუნტისა, ეს ნაოხარი წერაკუნტი მდებარეობს ხერთვისის ჩრდილო აღმოსავლით შეიდრევანტის მოსაზღვრედ და საროს სოფლისა. თქმა არის, მისი ძეგლი წაკუნტული ყოფილა დედაბერსავით, რომ წერა კუნტა დაუძსთ სახელად. ეს ძველად კერპობისა შესანიშნი სამლოცულო ყოფილა, როგორც სჩანს ხერთვისის მოქალაქეთა, აქ ამბობენ მრავალგან კერპთ სასაფლაოსა: გარნა მე არ მომცემია დრო მის განსახილველად!

მეხუთედ ჩვენს ძველ გვაროვნობას ამტკიცებენ მრავალგან ხევ ღელეების შუა გამოკვეთილი ქვაბები, როგორც უფლისციხისა, ჩვენის ხეობისა, ხერთვისის ხეობისა და სხვათა. ამ ყოველთ ძველის ძველობა გვაჩვენა ჩვენ დადეშის ქვაბებში ყოფილმა ლურსმნულმა ზედ წარწერამ, რომელიც ბაბელონელების ძლიერ მეფობის სახსოვარი უნდა იყოს, ან მათის მიბაძვით გამოკვეთილნი!

წელს დავიარე ნიჯგორისა, ვანისა და ვარძიის ქვაბები, ეს ყველა ძველ დროთ მიეწერება, მხოლოდ ვარძიის ქვაბებზედ გიორგი მეფის და თამარ დედოფლის დროს დამატებულია და გამშვენიერებული. ახლაცა ბერების მეცადინეობით ალაგ-ალაგ გზები გაფართოებულან და სადგომნი დროების დაგვარ.

ყველა ვარძიის ქვაბები აღრიცხულია 432. სენაკად, შუა ეკკლესია არს, ეკკლესიის ეზოს კარის ქუდზედ აწერია: „ქ. ყოვლად წმიდაო ვარძიისა ღვთისმშობელო ადიდე ორთავე შინა სოფელთა (დიდის ამირახვრის შვილისა აღშენებული) პატრონი იოანე, ასაფ, ვედა; ცოდვანი მათნი შეუნდოს ღმერთმან ამინ."

დიდი ამირახორი იყო გიორგი მეფის ამირ-სპასალარი და მანდატურთ უხუცესი თორელი გამრეკელი ყუბასარ. ამის შვილს აღუშენებია ვარძიის ეკკლესია, იქმნება გიორგის და თამარის ბრძანებითა. უნდა იყოს ამირახორად წოდებული თორელი გამრეკელი, ხოლო აქ ხსენებულნი: იოანე, ასაფ და ვადა-ძმანი მისნი! როცა ეს ყუბასარ მოკვდა, მაშინ სარქის მხარგრძელი განწესდა ამირ-სპასალარად თამარისა... ეს დიდებული მონასტერი მეტად უყურადღებოდ დატოვებულია, თავის ქონებული სიმდიდრე აღარც ერთი დაშთენია. ხატი, ჯვარი, წიგნები

სულ განფანტულია აქა იქ ზოგი მონასტრებში საიმერეთოდ და ზოგი ქართლს კერძო პირებთან.

ადრე ძოთელიას პატარა თონელი მ. თევდორე მღვდელი მანველიძე ყოფილა. ამის შვილს სვიმონ მანველიძეს გარდუცია ბოგაშნელი სოფლელებისთვის ხსენებული ვარძიის მონასტერის ძველი გუჯარა, რომლის გამო კარგი ბედაური ცხენიც უჩუქებიათ ბოგაშნელებსა მანველიძისათვის. შემდგომ ეს გუჯარი გოგაშნელებს ჩაუბარიათ განსვენებულის მ. გ. ზამრეკელი დეკანოზისთვის 1846 წ. როგორც აღმოჩენილა ახალციხის სადეკანოზო საქმის ქაღალდებში. როგორც მიამბო ბ. ს. ბერმან წულიკიძემ, ადრე მის დროს ყურადღება არავის მიუქცევია, ახლა თურმე ეძებენ და ვერსად ვერ აღმოუჩენიათ ეს გუჯარი.

ამ ვარძიის მონასტერს საეკკლესიო მოძრავ ნივთთ გარდა, უეჭველად უძრავი დიდი მიწა წყალიც ექმნებოდა; ამას ამტკიცებს მრავალი ფაქტი: ზედა ვარძიის მთიდგან წამოუყვანიათ რუსხმულ მილებით წყალი, შემოდის სამრეკლოში და რიგდება მონასტერში. ვარძიის ზემო გორის ხევის მტკვრის წყალი გამოუყვანიათ რუსხმულით, გამოდის ზედა ვარძიის და იქითგან მონასტრის წინ წისქვილები უბრუნებია. წინ აქვს მონასტერს 3 კუნძული მტკვრისგან შედგენილი, გაღმა ანაგეთია 4-ოდე მოსახლე ქურთები არიან, რომელნიც გამოდიან ვარძიის მხრის კუთვნილი საბალახოთ, ქვემოდ გაღმა და გამოღმა ჭაჭკარი არს საკმაო ბაღჩებითა. ეს ჭაჭკარიც მონასტრისა უნდა იყოს, რადგან მონასტრითგან თითქმის ერთს ვერსზედ კლდეში ხვრელი გაყვანილია, რომელიც ჭაჭკარის ბაღჩებში გადის. ეს ყველა ოსმალოების დროთგან გატაცული მონასტრის საკუთრება უნდა რომ ისევე მონასტერს დაუბრუნდეს უკან.

აგრეთვე ხსენებულ პატარა თონელ მღვდლის შვილის შვილთა გარდმოეცათ. მ. ბერი წულუკიძისათვის სამი წვრილი ვეცხლით მოჭედილი ხატები, ორი წ. გიორგისა იყო, ერთი ცხენოსანი და მეორე ქვეითი, ცხენოსანს ბერძნული ეწერა აილი, და ქვეითას მხედრული, „წმინდაო გიორგი სძლევრისაო იხსენ ცეცანნის სული ყოველ ჭირისა ჲ შეწუხებისაგანო," მესამე იყო მიხაილ მთავარ ანგელოზის ხატი, ხელთ შუბი ეპყრა, მხედრული ზედ წარწერა კი ვერ წავიკითხე. მეტად დაწიდავებული იყო, გაწმენდა უნდოდა. ძლიერ კეთილი და პატიოსანი საქმე იქმნება, მიეცემოდეს ამ მონასტერს ყოველი თვისი კუთვნილება მოძრავი თუ უძრავი, კმარა ამდენი ჩვენი ღრმა ძილი, უნაღვლელობა, დაუდევრობა და ზანტ ზარმაცობა, დროა გამოვიღვიძოთ, თვალები მოვიფშვნიტოთ, გამოვახილოთ, და კეთილ წარმმატებელ საქმე ყოფის გზა კვალს დავადგეთ!

დაშთენილია, ჩვენში ანდაზად: „დავბერდი, შვილდი ძირს დავდე, მაღლა მთაში ძევს სადამე. დალპება, ქერქი გასძვრება, არ მიადგება მზე სადმეო." მართლა საზოგადოდ კერპთ მსახურობის და ძველი საფლავები გორა სერებზედ არის, ამით ირჩევა კერპობისანი რომ ჩრდილო დასავლით სამხროს აღმოსავლისკენ გაშვანტულია მკვდარი. ერთი მათგანი გავხსენ ვარგავის გორაზედა, თავი ჩრდილო დასავალს ჰქონდა და ფერხნი სამხრის აღმოსავალს გაწვდილი. სამწუხაროდ, ეს ადრე კიდევ გაეხსნათ და ნაშთი აღარა დაეტოებინათ. ჭინჭილის და ჯამის ნამტვრევნი ფეხთ ქვეშ ეყარა!

ქართველთ მიცვალებულთ კერპობის ნაშთთ ლლიაში ერთ მხარეს საჭმლით ჯამი აქვთ მიცემული და მეორეს ლლიაში ღვინის ჭინჭილა. მტერთა მკვდართა კი არა ვითარი ნიშანი არა აქვსთ. ამათგანი აღმოჩენილი იყო ვარევანსა სახლის საძირკვლის თხრისა, აყრილ დაყრილად დასაფლავებულ იყვნენ. მოკლე ხერხემელ ტუროები ჰქონდათ, მაგრამ რიგ გარედ მსხვილი კი იყვნენ.

ს. ბურნაშეთს ეკკლესია არს ისევ ქართველთ შენობა, რომელიც იქ მდგმურ სომხებსა აქვსთ. ამ სოფლის მღვდელი წელიწადში რამდენმეჯერ დღეობას გააჩენს ამ ეკკლესიაში და დიდ ძალ ერს იზიდამს, არა მარტო პოებითგან, არამედ ქართველთა და მაჰმადიანთაცა; ხმა დაუყრია: ძველის ძველი სასწაულიანი სახარება მაქვს, რომლის წაკითხვა არავის არ შეუძლიაო! ასრე სომხებს ძველი სომხური ჰგონიათ და ქართველთ ძველი ხუცური. განგება მისთვის ვჰკითხე მე იქაურ ბატონს, ვასილ ორბელიანს და იმანაც მითხრა: „არავის შეუძლია მისი აღმოკითხვაო".

ამის გამო უფრო ვისურვე იმ სახარების ნახვა, ამ მღვდელმა ფილონი წამოისხა, კელეპტრები აღანთო და ერთი დიდის ამბით გამოასვენა, ვემთხვიერა სახარებასა, მაშინვე ვსთხოვე გარდმეშალა, გავალე, რას ვნახამ რომ მე XIV საუკუნოების დაწერილი ხელთ ნაწერი სახარება იყო, თავისუფლად საკითხავი. ტყვილსაც თურმე მოხერხება სდომებია. ღმერთმან ნუ ჰქმნას ეს ჩვენში!..

ამ ეკკლესიის აღმოსავალ სანათურზედ აწერია ხუცურად. „ქ. უფალო ვითარცა იხსენ დანიელი პირისაგან ლომთასა, ეგრე იხსენინ ამის წმიდა ეკკლესიისა მაშენებელნი ხელთაგან ჯოჯოხეთისათა.

იქითგან კოთელიას გავიარე. ასრე აწერია კოთელიის ეკლესიას ძველი კარის ქუდზედა;“ ქ. ამა წმიდისა კვირიკეს საყდრისა აღმშენებელსა ჭიშვაძს და თანა მეცხედრესა მეფის ასულს თამარსა შეუნდოს ღმერთმან. მულადსა და მისსა მეცხედრესა მზე ქალს შეუნდოს ღმერთმან. არა სჩანს თუ ეს რომელი მეფის ქალი თამარია.

1883. 6 ღვან. ვინმე მესხი.
ს. ხიზაბავრას.

## ჟურნალ-გაზეთებთა მიმოხილვა.

ერთ რუსულ სასულიერო გამოცემაში „რუკოვოდსტვო დლია სელსკიხ პასტირეი“-ში პროტესტანტების თანამედროვე ქადაგების შესახებ ჩრდილოეთ ამერიკაში ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს:

უმთავრესი გამასხვავებელი თვისება ამერიკანელების ხასიათისა არის პრაქტიკული ცხოვრება, მუდმივი საქმიანობა და ცხოვრების, ანუ ბუნების ახალ-ახალ მოვლინებისადმი მოწიწებით ლტოლვილება. ამისათვის ამერიკანელები კვირა დღეს, ესე იგი იმ დღესაც კი, როდესაც არავერს არ აკეთებს კაცი, ცდილობენ გამონახონ რაიმე სამაცადინო ანუ სადღესასწაულო დროს გასატარებელი, მაგრამ სად უნდა გაატარონ ასე დრო? ფაბრიკები, ქარხნები, კანტორები, მაღაზიები, პარლამენტი, სკოლები და სხვა ამათ მსგავსი დაწესებულებანი დაკეტილები არიან უქმე დღეებში; დაკეტილები არიან აგრეთვე ამ დღეებში თეატრები, საკონცერტო ზალები და სხვანი ამ გვარი დროს გასატარებელი ადგილებიც; კერძო სადილების ნადიმობის გამართვაც კი უწესოებათ ითვლება ამ დღეებში... წყლის ხომალდები და ორთქლით მატარებლებიც გაჩერებულნი არიან დღესასწაულ დღეებში. მაშ სად უნდა იპოვოს ამერიკანელმა დროს გასატარებელი ადგილი, თუ არა ეკკლესიაში, სადაც, რასაკვირველია, ამერიკანელის ცოცხალს და გამოქნილს ხასიათს ვერ დააკმაყოფილებს მარტო ერთგვარი ღვთის მსახურების აღსრულების ყურება, ანუ ქადაგებანი სხვა-და-სხვა დოღმატიკურ კითხვებზედ და ან ზნეობაზე: მაგრამ არა; აქაც ამერიკანელი რაღაცა ახალს ეძებს. მას სურს გაიგონოს რამე მქადაგებელთაგან იმაზე, რაც მას ამ დროს აფიქრებს და აინტერესებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოწყინდება ეკკლესიაში დგომა. აი ამა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება აქვსთ სახეში უმეტესად ამერიკანელ მქადაგებელთა...

ამერიკანელების მქადაგებელთა სიტყვები უმეტეს ნაწილად წარმოგვიდგენენ ნამდვილს და ცოცხალს რომელიმე კვირის ჟურნალის, ანუ გაზეთის მოწინავე სტატიას, რომელიც შეეხება ყოველ გვარ შესამჩნევ კვირის მოვლენათა ხალხის ცხოვრებაში; გამოჰყავს თავისი დასკვნანი და ხსნის მათ აზრს რელიგიოზური და ზნეობითი მხრით; შეადარებს იმათ მნიშვნელობას ქრისტიანულ ცხოვრებას და წინააღმდეგ ამ ცხოვრებისას აძაგებს და აუგებს. ერთი მქადაგებელი, მაგალითებრ, თავის ქადაგების საგნათ იღებს ორი პოეზდის ერთი-ერთმანეთის შეჯახების შემთხვევას და ამ ქადაგებაში მოიწვევს მსმენელთა დაზიანებულთა ფულის შეკრებისათვის და ღვთის რისხვას უძლვნის ამ უბედურობის შემთხვევის მომახდენელთა პირთა...

მეორე მქადაგებელი იღებს თავის ქადაგების საგნათ იმ საოცარ ცეცხლის გაჩენას, რომელმაც რამოდენიმე პირი იმსხვერპლა. მესამე ეხება მუშების აშფოთებას; მეოთხე — სახელმწიფოს შესავალ გასავლის ანგარიშის საქმეს; სხვანი ხალხის წარმომადგენელ პირების აღრჩევაზე. მქადაგებელნი ყოვლის ღონის ძიებით ცდილობენ, რომ არ დასტოვონ უყურადღებოთ თანამედროვე ცხოვრების არც ერთი შესანიშნავი შემთხვევა. ხანდის-ხან მქადაგებელნი მაშინაც კი არ დასტოვებენ განუმარტებლათ საზოგადო სამწყსოს, როდესაც ქადაგებას საგნათ აქვს აღებული მხოლოთ საზოგადო რელიგიური ანუ სარწმუნოების თანამედროვე კითხვები; ამასთან თვითეული მქადაგებელი ცდილობს, რომ მისი სიტყვები ეთანხმებოდეს მსმენელთა გემოს და მოთხოვნილებას.

ერთს მქადაგებელს აქვს, მაგალითად, სახეში, მაღალი წოდების ნასწავლი ხალხი, ამისთვის ქადაგებანიც მათ გემოზე არიან შედგენილნი. მეორეს აქვს სახეში დაბალი და უსწავლელი ხალხი, ამისთვის მქადაგებელი ხმარობს ქადაგებაში, რომ მსმენელებს არ მოეწყინოს ეკკლესიაში, მრავალ გვარ ოხუნჯობას, ლექსებს, ზღაპრებს და ან თავის ცხოვრებიდგან პატარ პატარა შენიშვნებს რომლების მოთხრობის დროს მსმენელებთ შორის შეიქნება ერთი სიცილი და ტაშის კვრა...

სხვანი კიდევ სულ სხვა საგნებს ეხებიან და სხვა კილოზე ამბობენ თავიანთ ქადაგებას. მაგრამ ყველა ამ მქადაგებელთა ჰყავსთ მრავალნი მსმენელნი, რომელთაც არ მოეწყინებათ ეკკლესიაში, თუმცა ფულსაც იხდიან ბილეთების სასყიდლად ეკკლესიაში შესვლისათვის, ასე რომ ზოგიერთ ეკკლესიას წელიწადში შემოუვა ათი ათას მანეთამდის (10,000).

გასაკვირველი არ არის, რასაკვირველია, რომ წმინდა ქრისტიანული სწავლის არაფერი ურევია ზოგიერთ ამ გვარ ქადაგებაებში. ეს ქადაგებანი თითქმის საზოგადო და საპოლიტიკო შესხმანი არიან. ამ ქადაგებათა უმეტეს ნაწილს თავის შინაარსით თითქმის ვერცკი გაარჩევთ იმ სიტყვებიდგან, რომლებიც საზოგადო ხალხის შეკრებილებაზე წარმოითქმიან. მქადაგებელნი თუმცა ქადაგების წინეთ წაიკითხავენ ლოცვას და ქადაგების დასაწყისში სათაურათ მოიყვანენ სამღრთო წერილის სიტყვებს, მაგრამ შემდეგ მათი ქადაგება სრულებით არ ეთანხმება მათგანვე მოყვანილ სამღრთო წერილის სიტყვებს და სულ სხვა საგნებზე ლაპარაკობენ. ამერიკანელი მქადაგებლები სრულებით არ ცდილობენ ქრისტიანული და ზნეობითი სწავლის გავრცელებას ხალხში. მათი ყურადღება არის მიქცეული იმაზე, რომ ხალხს არ მოეწყინოს ქადაგების დროს და რაც შეიძლება მრავალნი მსმენელნი მიიმხროს და მოიწვიოს ეკკლესიაში.

ამისთვის ისინი ცდილობენ წარმოსთქვან ქადაგებანი მჭევრმეტყველურათ, ცოცხლათ და ხალხის გასაგონი ენით; ცდილობენ აგრეთვე დაიმსახურონ საზოგადოების ყურადღება და პატივი რომლის გულისათვის მზათ არიან შესწირონ რელიგიის და ეკკლესიის მოთხოვნილებაც. ამ მიზნის ასასრულებლად აბეჭდვინებენ განცხადებათა თავიანთ ქადაგებაზე და მზათ არიან მისცენ დიდი ფული კორესპონდენტთა მათი ქადაგების ქებისთვის გაზეთებში. თავის ქადაგებაზე განცხადებეებს ჰბეჭდავენ გაზეთებში მოხერხებით, ოსტატობით, იმ მიზნით რომ ბევრი მსმენელნი მოიზიდონ. ამერიკელ გაზეთებში ხშირათ შეხვდებით ამ გვარ განცხადებათა: ,,სიკვდილის შემდეჭ რა იქნება? აი კითხვა რომელსაც აგვიხსნის პატივცემული ნასწავლი რუსელი, ვინც მიალთ მის ქადაგების მოსასმენლათ ამა და ამ ეკკლესიაში,“ და სხვანი ამ გვარნი. ყოველ ამაებს სჩადიან მქადაგებელნი, მისთვის რომ ბლომათ ფულები შემოვიდეს ეკკლესიაში, რადგან სხვა შემოსავალი არაფერი აქვსთ.

ამის გულისთვის ყველა ეკკლესიის საზოგადოება, ანუ ჩვენებურათ რომ ვსთქვათ სამრევლო, ცდილობს მოიპოვოს იმისთანა მღვდელი, რომელიც სახელ განთქმულია საზოგადოებაში თავის ქადაგებით და მათი ნიჭისამებრ უნიშნავს მათ სასყიდელს. სხვათა შორის ერთ ამერიკანელ მქადაგებელს აქვს დანიშნული ნახევარი ეკკლესიის შემოსავალი, რომელიც შეადგენს ორმოცდა ათი ათას მანეთს. სხვა მქადაგებლები იღებენ ჯამაგირს ათას მანეთიდგან ორმოც ათას მანეთამდე, საჩუქრები ამ ფულებს გარდა და ანდერძებით დატოვებული მათ სასარგებლოთ კიდევ სხვა არის.

ზედამხედველი და ანგარიშის მომთხოვი ამ მქადაგებელთაგან გარდა სამრევლოისა არიან გაზეთებიც; ამისათვის ყოველი მქადაგებელი ცდილობს, რიგიანად და მუყაითად ასრულოს თავისი მოვალეობა და სუსტ მქადაგებლებს ძლიერ ძვირათ შეხვდებით ამერიკაში.

რაიცა შეეხება ამ ქადაგებათა ზედ მოქმედებას და ხალხზე გავლენას, არ შეიძლება სთქვას კაცმა, რომ მათ გავლენა არ ჰქონდეს მსმენელებზე. ამას ამტკიცებს ის, რომ ქადაგებას ისმენენ სიამოვნებით და ფულს შესწირვენ რომელიმე კეთილი საქმისათვის. იქ ქადაგების თქმის ერთი მინუტის შემდეგ შეგროვდება იმდენი ფული კეთილი საქმისთვის, ან შესაწევნელათ, რამდენიც ჩვენში ხუთ წელიწადშიც ძნელად შეგროვდება; მაგრამ ეს გარემოება დამოკიდებულია პირველად მქადაგებელთა ნიჭზე და მეორედ ამერიკის ხალხის სიმდიდრეზე.

მქადაგებელთა ნიჭით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ქადაგებას აქვს დიდი ძალა და გავლენა ყოველ საზოგადო საქმეზე. გამოჩენილთა მქადაგებელთა აზრებით ხელმძღვანელობენ არამც თუ ჟურნალ-გაზეთები, არამედ თვითონ მართებლობაც ხშირად ამ მქადაგებლებთა ჩვენებით და რჩევით გამოსცემს ხოლმე სხვა-და-სხვა სჯულდებითი კანონებს და უქაზებს.“

# ა ნ გ ა რ ი შ ი

შემოსულის, დახარჯულის და დანარჩენის ფულებისა ქუთ. სასულ. სასწავლებლის, შემოტანილისა ეპარხიის სამღვდელოთაგან, ეკკლესიებთა, მონასტრებთა და სხვა პირთაგან 1882 წელსა.

## მ ე ხ ლ ნ ი შ ე მ ო ს ა ვ ა ლ თ ა:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| 1881 წლიდგან დარჩენილი კრედიტის ბილეთები . . . . . . . . | 11,331 | |
| ნაღდი ფულები . . . . . . . | 1,279 | 55 1/3 |
| 1882 წელში შემოვიდა: | | |
| 1, იმერეთის ეპარხიის სამღვდელოებისაგან შესანახავად ექვსი მოსამზადებელი და ოთხი სასწავლებლის კლასებისა და აღსაშენებლად მომავალი სემინარიისა ქ. ქუთაისში . . . . . . . | 10,421 | 5 1/3 |
| 2, საერო პირთაგან მათი შვილების სწავლის ქირა სასწავლებელში . . . | 2,348 | |
| 3, გარდაცვალებულის ზედამხედველის მ. ასათიანის მემკვიდრეთაგან . . . | 188 | 87 4/9 |
| 4, სასწავლებელში ეკონომათ ყოფილის ა. კანდელაკისაგან . . . . . | 10 | |
| 5, საკრედიტო სამართველოთაგან % სასწავლებლის ფულებისა . . . . | 681 | 51 |
| სულ. . . . | 13,649 | 43 7/9 |
| და სრულიად. . . . | 26,259 | 99 2/9 |

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა.

ეს ჯამი შემოვიდა შემდეგთა პირთაგან:

| | სანთლ. სარგ. და მღ. საკუთ. | | გვირგვინ. ფული. | |
|---|---|---|---|---|
| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| **1. ბლ. მღვ. ი. მსხრიკაძისგან:** | | | | |
| 4 იანვარს № 19 1881 წლისა . | 91 | 40 | | |
| 10 — — 2 — — . . | 51 | 80 | | |
| 2 აპრილს — 72 — — . . | 52 | 40 | | |
| 9 აგვისტ. — 122 1882 — . . | 94 | 20 | | |
| 24 — — 128 — — . . | 46 | 10 | | |
| 23 ნოემბერს — 159 — — . . | 43 | | | |
| — — — 160 სანთლის ფულ. | 90 | | | |
| — — — 161 — — | 43 | 30 | | |
| და სრულიად . . | 512 | 20 | | |
| **2. ბლაგ. მღ. დეკანოიძისაგან:** | | | | |
| 10 იანვრის № 7 1881 წლისა . | 778 | 68 1/3 | | |
| 25 თებერვ. — 22 — გვირგ. ფუ. . | | | 35 | 10 |
| ბლაღოჩ. მ. ვეფხვაძისაგან 1882 წ. . | 758 | 12 | | |
| და სრულიად . . | 1,536 | 80 1/3 | 35 | 10 |
| **3. ბლაღოჩ. მ. დ. დამბაშიძისაგან** | | | | |
| 21 ნოემბერს № 182 1882 წლისა . | 193 | 35 | | |
| 29 დეკემბერს — 213 — — . | 349 | | | |
| 30 — — 222 — — . | 120 | 55 | | |
| 30 — — 221 გვირგ. ფულები | | | 25 | |
| და სრულიად. . | 662 | 90 | 25 | |
| **4. ბლაღოჩ. მ. ო. კაჭახიძისაგან:** | | | | |
| 4 მაისს № 41 1881 წლისა. . | 550 | 90 | | |
| იმავე რიცხვით და ნომრით ვ. მომპორიაზე დარჩენილი 1874—77 წლისა . | 18 | | | |
| 23 ნოემბერს № 138 1882 წლისა . | 244 | 37 | | |
| გვირგვინის ფულები 1881 წლისა . | | | 35 | 49 |
| და სრულიად . . | 813 | 27 | 35 | 49 |
| **5. ბლ. მღვ. ს. მოწვნიძისაგან:** | | | | |
| 1881 წლისა. . . . . . . . | 150 | | | |
| — — . . . . . . . . | 264 | 89 | | |
| — — . . . . . . . . | 200 | | | |
| 16 მარტს № 65 გვირგ. ფულ. 1881 წ. | | | 18 | 50 |
| და სრულიად. . | 614 | 89 | 18 | 50 |

## განმარტება შემოსავალთა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **6. ბლ. დ. ა. გიორგობიანისაგან:** | | | | |
| 5 მარტს № 2 1881 წლისა . . | 374 | 25 | | |
| **7. ბლ. მ. ილ. გერსამისაგან:** | | | | |
| 4 მარტს № 37 1881 წლისა . . | 244 | 75 | | |
| **8. ბლ. დ. ვაცაძისაგან:** | | | | |
| 30 დეკემბერს № 164 1881 წლისა. | 80 | | | |
| 20 სეკტემბერს № 112 1882 — . | 64 | | | |
| და სრულიად. . | 144 | | | |
| **9. ბლ. მ. ი. წერეთლისგან:** | | | | |
| 1881 წლისა . . . . . . | 413 | 60 | | |
| მისგანვე დარჩომილი ფულ. 1874 წ. | 15 | | | |
| მისგანვე გვირგვინის ფულები 1881 წ. | | | 8 | 5 |
| და სრულიად. . | 428 | 60 | 8 | 5 |
| **10. ბლ. მ. გ. ასათიანისაგან:** | | | | |
| 24 მარტს № 135 1881 წლისა. . | 100 | 50 | | |
| 27 მაისს — 197 — — . . | 43 | 75 | | |
| 16 ივნისს — 239 — — . . | 26 | 25 | | |
| და სრილიად. . | 170 | 50 | | |
| **11. ბლ. მ. მიქიევისაგან:** | | | | |
| 1881 წლისა . . . . . . | 300 | | | |
| მისგანვე 1880 და 1881 წლებთა . | 96 | | | |
| მისგ. დარჩენ. ფულ. 1876—79 წ. . | 44 | | | |
| 1882 წლისა . . . . . . | 380 | | | |
| და სრულიად. . | 820 | | | |
| **12. ბლ. ბ. ჩხენკელისაგან:** | | | | |
| 12 მაისს № 113 1881 წლისა. . | 273 | 50 | | |
| — — — 114 1880 — . . | 68 | 56 | | |
| და სრულიად. . | 342 | 6 | | |
| **13. ბლ. მ. კლდიაშვილისაგან:** | | | | |
| 30 დეკემბერს № 127 $^{1}/_{10}$ ნაწილი საეკკლესიო შემოსავლიდგან. . . | 16 | | | |
| იმავე რიცხ. № 127 სანთლ. ფ. 1882 წ. | 160 | 60 | | |
| — — — 128 გვირგ. ფ. — . | | | 22 | |
| დეპუტ. მღვ. ი. სალაძის მიერ 1881 წ. | 42 | | | |
| და სრულიად. . | 218 | 60 | 22 | |
| **14. ბლ. მ. ი. კიკაჩეიშვილისაგან:** | | | | |
| დეპუტატი მღვ. ილ. წივწივაძის მიერ 1881 წლისა . . . . . . . | 57 | 25 | | |
| მისგანვე 1882 წლისა . . . . . | 98 | | | |
| მისგანვე გვირგვინის ფულები . . | | | 14 | 75 |
| მისგ. დარჩ. ფულ. წასრული წლების. | | 50 | | |
| მღ. გორდულაძის მიერ 1881 წლისა. | 38 | | | |
| მისგანვე 1882 წლისა . . . . | 98 | 49 | | |
| მღვ. პანცხავას მიერ 29 დეკემბერს № 23 შემძლებელთ ეკკლესიებთაგან. | 46 | 20 | | |
| და სრულიად. . | 338 | 44 | 14 | 75 |
| **15. ბლ. მ. მიხ. მჭედლიძისაგან:** | | | | |
| 14 თებერვალს № 48 1881 წლისა. | 75 | | | |
| 3 მაისს №№ 92 და 93 1880 წლისა 15 მანეთი და 95 მან. 1881 წ. . | 110 | | | |
| 29 დეკემბრის № 200 დარჩენილი ფ. | 30 | | | |
| 21 — — 240 22 მან. 1881 წლისა და 361 მანეთი 1882 წლისა. | 383 | | | |
| იმავე რიცხვით № 241 1880—81 წ. | | | 20 | |
| და სრულიად. . | 598 | | 20 | |
| **16. ბლ. მღვ. მ. ჯუღელისაგან:** | | | | |
| 13 იანვარს № 2 დანარჩენი ფულ. | 17 | | | |
| 25 — — 8 1881 წლის. . | 16 | | | |
| 28 აგვისტ. — 145 — — . . | 23 | 20 | | |
| — — — 146 დარჩენილი ფ. . | 10 | 70 | | |
| — — — 147 1882 წლისა. . | 163 | | | |
| 27 სეკტემბ. — 158 — — . . | 52 | 90 | | |
| მისგანვე დარჩენ. ფ. 1880 და 1881 წ. | 7 | 10 | | |
| 24 დეკემბ. №№ 213, 214, 215 და 222 1882 წლისა . . . . . | 306 | 45 | | |
| მაშინვე № 216. . . . . . | 10 | | | |
| — — 212 1882 წლისა . . | | | 12 | |
| და სრულიად. . | 606 | 35 | 12 | |
| **17. ბლ. მღ. ზ. ქუთათელაძისაგან:** | | | | |
| 11 იანვარს №№ 25 და 26 1881 წ. | 75 | 76 | | |
| 17 ნოემბერს № 352 1882 წლისა. | 150 | | | |
| 15 დეკემბ. №№ 370 და 371 1882 წ. | 440 | 50 | | |
| მაშინვე № 373 1881 წლისა . . | 20 | | | |
| 11 იანვარს № 27 1881 წლისა 29 მან. 55 კ. და 15 დეკემბერს № 372 25 მან. და 15 კაპ. 1882 წლისა. . . | | | 54 | 70 |
| დეპუტატის მღვ. ვ. ქუთათელაძის მიერ 16 თებერვალს № 6 1881 წლისა. | 224 | 9 | | |
| მღვ. დ. ნემსაძის მიერ იმავე წლის . | 112 | | | |
| და სრულიად. . | 1,022 | 35 | 54 | 70 |
| **18. დეკ. ი. გამრეკელოვისაგან:** | | | | |
| დეპუტ. მღ. ფ. ფხაკაძის მიერ 1882 წ. | 200 | | | |
| მღვ. ზ. სვანიძის მიერ 1881 წლისა. . | 114 | 75 | | |
| მისგანვე 1882 წლისა . . . . | 80 | | | |
| მღვ. დ. ნასრაძის მიერ 1881 წლისა. | 158 | 75 | | |
| მღვ. ი. აბრამიშვილის მიერ ვ. გიორგაძეზე დარჩენილი 23 მან. 1880 წ. და თავის თავათ 29 მან. 1881 წლისა . | 52 | | | |
| მღ. დ. შელიავის მიერ 1881 წლისა . | 23 | | | |
| და სრულიად. . | 628 | 50 | | |
| **19. ქუთაისის ალ. ნევის სობოროს კანდელაკისაგან 1881 და 1882 წლისა .** | 100 | | | |
| და სრულიად. . | 10,175 | 46$^{1}/_{3}$ | 245 | 59 |

| მუხლნი გასავლისა: | სმეტით დანიშნული | | დაიხარჯა. | | განმარტება გასავლისა: |
|---|---|---|---|---|---|
| დაიხარჯა: | მან. | კ. | მან. | კაპ. | |
| 1) საეპარხიო სამღვდელოების შემოსული ჯამიდგან: | | | | | |
| ა) ოთხი პარალელურ განყოფილების და ექვსი მოსამზადებელი კლასების შესანახავად . . . . | | | 7589 | 84 $^{6}/_{7}$ | მიეცა მასწავლებლებს: საღმრთო ისტორიის და კატეხიზმოსას 806 მან. 68 $^{2}/_{3}$ კ., რუსული ენისას 1569 მან. 23 $^{11}/_{21}$ კ., ქართული ენისას 1028 მან. 63 $^{1}/_{3}$ კ., არითმეტიკისას და გეოგრაფიისას 941 მან. 52 კ., ლათინური ენისას 608 მ. 24 კ., ბერძნული ენისას 548 მ. 37 კ., გალობისას 613 მან. 33 $^{1}/_{3}$ კ., წერისას 266 მან. 23 $^{1}/_{3}$ კ., და პირველი მოსამზადებელი გან. ყოფილებისაა 1207 მან. 41 $^{2}/_{3}$ კაპ. |
| ბ) ორ ნადზირატელზედ. . . | 840 | | 840 | | |
| გ) საავათმყოფოზედ . . . | 630 | | 747 | 87 | ექიმს 250 მან., ფერშალს 180 მან., აფთეკარებს წამლების ფასი უ. ვიტუშინსკის 93 მან. 97 კ., 1881 წლისა და უ. კოკოჩოვს ამ წლის 209 მ. 43 კ. 1 ფ. და 31 გირ. ხორცში ავათმყოფებისათვის 6 მან. 22 კ., 8 ბოთლ ღვინოში 2 მან. 7 კ., 5 ქათამში 1 მან. 25 კ., 10 გირ. შაქარში 2 მან. 11 კ., 2 გირ. ბრინჯში 20 კ., ხახვში 13 კ., რძეში 24 კ., ვერმიშელი 5 კაპ., მდოგვი 70 კაპ., მრეცხელს 44 ხელი საავათმყოფო საცმელის გარეცხაში 1 მან. 32 კ. |
| დ) ბიბლიოტეკარზედ . . . | 100 | | 100 | | |
| ე) კამისარზედ . . . . . | 144 | | 144 | | საქმის მაწარმოებელს 120 მან., ი. მურადოვს 15 მან. 20 კ.: ერთ სტოპა მეოთხე ნომრის ქაღალდში 5 მან. 70 კ., ერთ სტოპა მეშვიდე ნომრისაში და ერთ დესტში 2 მან. 75 კაპ., ერთი კოლოფი ფოჩტის ქაღალდში და კონვერტებში 2 მან. 10 კაპ., დიდი ფორმატის კონვერტებში 20 კაპ. |
| ვ) კანცელარიაზედ . . . . | 170 | | 176 | 40 | საბეჭდავის პატრონს პ. წულუკიძეს 34 მან. 90 კაპ.: 2800 ფურცლიან და ნახევარ ბლანკების გასაშვებელ მილეთებისა, საეგზამენიო უწყებათა, მოწმობათა და მიწერ მოწერისათვის; ერთ ფუთ სტეარინის სანთელში 13 მან. 20 კ., ერთ წიგნში კომისარისათვის 90 კაპ., ერთ კოლოფ კალმებში 1 მან. 20 კ., ერთ კოლოფ კანვერტში 1 მან. |
| ზ) პარალელურ და მოსამზადებელი კლასების შენახვაზედ, ე. ი. მეშაზედ და მოსამსახურეებზედ . . | 400 | | 394 | 94 $^{1}/_{3}$ | შეშის მომტანს 262 მან. 75 კაპ., მოსამსახურეებს 115 მან. 30 $^{1}/_{3}$ კაპ. და 16 მან. 89 კაპ. კომისარის და 2 მოსამსახურის შესანახავად ივნისში და აგვისტოში. |
| ჱ) ერთ დროებით შესაწევნელად ღარიბ და ნიჭიერ სემინარიაში წამსვლელ სასწავლებლის მოწაფეთა . | | | 40 | | |
| თ) ერთ დროებით შესაწევნელად სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა . | 500 | | 320 | | ს. მომპორიას, ვ. ვაჭარაძეს, ა. ლოლორიშვილს, ი. გიორგაძეს, დ. ნადირაძეს, დ, დუავოშვილს და ვ. დეკანოსიძეს თითოს ოც-ოცი მანეთი; კ. ხუსკივაძეს, ს. შუბლაძეს, ვ. მომპორიას და ე. აბესაძეს თითოს 15 მანეთი; ან. ყიფშიძეს, ნ. ჩაჩანიძეს, ვ. მგალობლიშვილს, ს. წერეთელს, ვ. ლორიას, მ. კელენჯერიძეს. დ. კაპანაძეს, ბ. ვირსალაძეს თითოს თითო თუმანი; ს. მიხელიძეს, დ. კვიციანიძეს თითოს ხუთ-ხუთი მანეთი და ა. დუიბლაძეს 30 მანეთი; კ. ცინცაძეს და ს. გიორგაძეს თითოს 15 მანეთი და 10 მან. ს. ვირსალაძეს. წარსულ წელში ამ საგანზედ გადადებულ ასი მანეთიდგან დაიხარჯა მხოლოდ 35 მანეთი. |
| ი) ბიბლიოტეკაზედ . . . . . | 100 | | 100 | | Русскій Начальный Учитель 2 მან. 50 კაპ., Сем. Вечера 11 მან., Кавказъ 13 მან., Отеч. Записки 17 მან., ივერია 7 მან., დროება 9 მანეთი; ფულების გასაგზავნად მიეცა მეფოშტეს 46 კაპ., წიგნების შემკვრელს 40 მანეთი 54 კაპ. |

| მუხლი გასავლისა: | | | | | განმარტება გასავლისა: |
|---|---|---|---|---|---|
| ქ) მოულოდნელი ხარჯები . . | 50 | | 16 | 49 | ტელეგრამმა სტავროპოლში 1 მან. 95 კაპ., თფილისში 35 კაპ., მიეცა მეფოშტეს ტალონების გასაგზავნელი 6 ბილეთების მეორე გამოცემის ახალ კუპონზე გამოცვლისათვის 1 მან. 57 კ., თფილისის კომ. ბანკს ზემოაღნიშნული ბილეთების დასტრახვისათვის 7 მან. 82 კაპ., ქუთაისის ხაზინაში გადასახადი იჯარით აღებული ადგილისა 1 მან. 43 კაპ., წვრიმალი ხარჯები 2 მან. 11 კაპ.; მიეცა მეფოშტეს გაგზავნისთვის გარდაცვალებულის ზედამხედველის მ. ასათიანის 167 მან. 15 და კაპეიკისა 91 კაპ. |
| სულ. . | 12,904 | | | | |
| 2) იმ ფულებიდგან, რომელიც საერო წოდების შვილებთაგან შემოვიდა, მოხმარებულ იქმნა: | | | | | |
| ა) საავათმყოფო სასლის ასაშენებლად . . . . . . . . | | | 1500 | | |
| ბ) სამართველოს ჟურნალით 25 იანვრიდგან № 3, ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ დამტკიცებულით, ერთი დროების შესაწევნელად სამართველოს პირთა, სასწავლებლის მასწავლებელთა და ფერშლის . . | | | 1358 | | სასწავლებლის ზედამხედველს 170 მან., მის თანაშემწეს 80 მან. სამმართველოს წევრებს: თ. ბოლოლიუბოვს 80 მან., კაჭახიძეს 52 მან., ნიკოლოოზ ხუციევს 28 მან., მასწავლებელთა: დ. ჩიმაკაძეს, მ. ჭეიშვილს, ს. მატარაძეს, ა. სულაქველიძეს, პ. კვიცარიძეს, მ. კვალიევს, ნ. მაღრაძეს, მ. ფხაკაძეს, ა. ბენაევს, ე. ლამბაშიძეს, ნ. შვანგირაძეს, ნ. ყიფიანს, ი. მატარაძეს, მ. შარაბიძეს, ე. ვეფხვაძეს და მამა ი. ლომთაძეს 55 მანეთი თითოს და ფერშალს გ. ხანთაძეს 18 მანეთი. |
| გ) მწერალზედ . . . . . | | | 135 | | |
| დ) მასწავლებელ ზედამხედველებზედ (классн. наставники). . | | | 323 | $33\frac{1}{3}$ | ე. ლამბაშიძეს 120 მან., ნ. შვანგირაძეს 120 მან., ნ. ყიფიანს 20 მან., ერ. ვეფხვაძეს 63 მან. $33\frac{1}{3}$ კაპ |
| ე) მოხმარებულ იქმნა გაზეთების, ჟურნალების და წიგნების გამოწერაზე და მიეცა წიგნების შემკვრელს . | | | 109 | 47 | В. Европы 17 მან., Загр. В. 13 მან., Мысль 6 მანეთი, Недѣля 8 მან., Живоп. Обозр. 8 მან., შრომა 7 მან., Порядокъ 17 მან., Пет. В. 10 მან. მეფოშტეს მიეცა გასაგზავნი 85 კაპ., წიგნების შემკვრელს 1 მან. 47 კაპ., Исторія педагогики Шмидта въ 4-хъ частяхъ 22 მან. |
| სულ. . | | | 3425 | $80\frac{1}{3}$ | შენიშვნა: საერო წოდების პირთა შვილებთაგან შემოვიდა 1876 წლიდგან 1881 წლამდი 9432 მან. 28 კაპ., ამ ფულებიდგან დახარჯულია მხოლოდ 1876, 1877, 1878, 1880 1881 წწ. 5412 $87\frac{1}{3}$ კაპ. |
| | | | 13895 | $35\frac{11}{21}$ | |

სასწავლებლის ზედამხედველი ი. ფხაკაძე.

წევრნი სამართველოისა:
ბლ. მღვ. ი. კიკაჩეიშვილი.
ბლ. მღვ. ლ. კაჭახიძე.
ფ. ბოგოლიუბოვი.

Дозв. цензурою Кутаисъ, 1 Ноября 1883 г.
რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.
Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.
მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.